საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო



1

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თ ბ ი ლ ი ს ი

1 9 6 0

ფრანს მაზერელი

დაბადების 70 წლისთავის გამო

აკად. გიორგი ჩუბინაშვილი

ბელს სრულდება 70 წელი მრავალი სიახლითა და მკაცრი წინააღმდეგობებით სავსე ჩვენი მნიშვნელოვანი ეპოქის მხატვრის, ცნობილი ფლანდრიელი გრაფიკოსისა და სინტეზური ფერმწერის, ფრანს მაზერელის დაბადებიდან.

მაზერელი თითქმის 30 წლისა იყო, როცა საზოგადოება პირველად გაეცნო მის ხის გრავიურებსა და ტუშით შესრულებულ ნახატებს. ამ დროისათვის ის საკმაოდ ჩამოყალიბებული იყო, როგორც ადამიანი და მოქალაქე, ჩამოყალიბებული იყო მისი შეხედულება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაზე. მის პირველსავე ნამუშევრებში გამოვლინდა კომპოზიციური გადაწყვეტისა და შესრულების ტექნიკის მკაფიობა და გარკვეულობა. მაზერელი ინდივიდუალური ხელის მქონე ოსტატია. მართალია, ორმოცი წლის მანძილზე მაზერელის ქსილოგრაფიებში ზოგჯერ შესამჩნევია ამა თუ იმ მხატვრული ხერხების უმნიშვნელო ვარირება, მაგრამ ეს ყოველთვის დაკავშირებული იყო ნაწარმოების სიუჟეტთან და ნაკარნახევი იყო უფრო გამომსახველად გაფორმების სურვილით.

ჯერ კიდევ მისი შემოქმედების დასაწყისში, 1923 წელს, სტეფან ცვაიგი ასე ახასიათებდა მაზერელის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი: „მას უყვარს ყველა ეროვნება, ყველა ეპოქა, ძველი და ახალი, რომანტიკა და ინდუსტრია, და მე არ ვიცი სხვა რამ, რაც მშვიდობის ამ მოტრფიალეს ძულდეს პლანეტაზე ისე, როგორც ის ინსტიტუტები, რომელთა აზრი და დანიშნულებაა გააკვირონ, დაახშონ, დააჩლუნგონ ყოფის სისხლსავსე სიხარული, ცოცხალი ცხოვრება ჩაჭედონ ხელოვნურ ჩარჩოებში. ის მტერია იმ სახელმწიფოსი, რომელიც ნერგავს ძალადობასა და უსამართლობას, მტერია ინ „საზოგადოებისა", რომელსაც თავისი თავი მიაჩნია „უმაღლეს" კასტად და სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება. თუმცა იგი პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ ყოველთვის იბრძვის სუსტების მხარეზე. მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა თავისუფლების ყველა მტერი, ომის გამჩაღებლები, სპეკულანტები, მართლმსაჯულების ქურუმები, ეგოისტური მორალის ყველა წარმომადგენელი, ანგარებიანი მიზნების მფარველები. მისი მსოფლშეგრძნება ვერ იტანს იმას, რაც ძალადობას იჩენს ქვეყანაზე, რაც არღვევს სამყაროს წმინდა ერთიანობას".

ეს დახასიათება ეხება მაზერელის მთელ შემდგომ მღელვარე შემოქმედებითს ცხოვრებას.

მაზერელი დაიბადა ბელგიაში 1889 წელს. გენტის სამხატვრო სკოლაში ცოტა ხნის სწავლის შემდგომ (ფერწერას სწავლობდა პროფ. ჟან. დელვინთან, გრაფიკას — ოფორტისტ ჟიულ დე ბრიუიკერთან, რომელსაც უყვარდა რაბლეს, ედგარ პოს, ბოსხისა და ბრეიგელის სტილის ფანტასტიკა). ოცი წლის ჭაბუკი მოგზაურობას იწყებს უცხო ქვეყნებში, ჩადის ლონდონში, შემდეგ პარიზში, ჩრდილოეთ აფრიკაში. 1914 წლიდან ჟენევაშია. აქ ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის ბრძოლაში (მის მეგობარ რომენ როლანთან ერთად) საბოლოოდ ყალიბდება მისი ტალანტი და მხატვრული ძალა. რომენ როლანთან ერთად მაზერელი ჯერ მუშაობს წითელ ჯვარში, 1917-დან 1920 წლამდე კი ჟენევის ანტიმილიტარისტულ გაზეთებში, რომლებშიც ამ წლების მანძილზე 1000-მდე ნახატი გამოაქვეყნა.

ნახატების კრებულის მოკლე ავტობიოგრაფიულ შესავალში (კრებული 1926 წელს გამოიცა პარიზში) მაზერელი თავისთავის შესახებ გვაცნობებს: „დავიბადე 1889 წელს ბლანკენბერგში, ფლანდრიაში. ჩემი მშობლები ფლანდრიელები არიან. ბავშვობა ბედნიერად გავატარე, რადგან ბევრს ვთამაშობდი და ცოტას ვსწავლობდი. მხატვრობაში ვვარჯიშობდი გენტში, სადაც ექვსი თვის მანძილზე სამხატვრო აკადემიაში დავდიოდი. ამას მოჰყვა გერმანიაში, ინგლისში, ტუნისსა და შვეიცარიაში საკმაოდ დიდხანს ცხოვრება, რომლის შემდეგ (1921 წ.) რამდენიმე წელიწადს პარიზში დავყავი. მუდამ ბევრს ვხატავდი და ვფიქრობ მომავალშიც ბევრი ვიმუშაო".

მეორე შემთხვევაში მაზერელი კრიტიკულად იგონებს თავისი ცხოვრების ადრინდელ პერიოდს და ისევე როგორც გრაფიკაში, მის სიტყვებშიც ლაკონურად ვლინდება, თუ როგორ მღელვარედ ეძებს ის პასუხს ცხოვრების მწვავე საკითხებზე. „ომამდე (1914 წ.) მე ჩაძირული ვიყავი უხეშ, წმინდა ფლამანდურ რეალიზმში: ბაზრები, საზოგადოებრივი ბალები, ქალები, მეზღვაურები... ყოველივე ეს ველური და სევდიანი იყო. არსებითად მუდამ

ფრანს მაზერელი ანრი ბარბიუსი, 1921 წ.

ფრანს მაზერელი გრავიურა სერიიდან „ადამიანის ტანჯვის 25 სურათი“, 1918 წ.

სევდიანი ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია ძალიან კმაყოფილი და მხიარულიც ვიყო. მე ცხოვრების, ქუჩის, ნავსადგურთა ჩანახატების მთელი დაატა მაქვს. ყოველთვის ბევრს ვმუშაობდი, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის. ყოველივე ამის უღრმესი აზრი კი ხელიდან მისხლტებო-

ფრანს მაზერელი ნახატი გაზეთისათვის „La Faulle“ 1917 წ.

და, და მე ვგრძნობ, ომი ძალზე დამეხმარა, რომ ეს გასაგები გამხდარიყო ჩემთვის“.

რომენ როლანის ცნობით, პირველი მსოფლიო ომის დროს მაზერელი შედიოდა მხატვართა მცირე ჯგუფში, რომელსაც არ სურდა მონაწილეობა მიეღო მოძმეთა ხოცვა-ჟლეტაში ღა პირიქით, მტკიცედ სწამდა სულიერი ინტერნაციონალი“.

ამხილებდა რა ომის გამჩაღებელთა სიყალბეს, პირფერობასა და ცბიერებას თავის ნახატებში, (რომლებსაც იგი ყოველდღიურად აბარებდა გაზეთ „La Faulle“-ს), მაზერელი აღვიძებდა შეგნებას და თავის აღშფოთებას გამოხატავდა. იმავე დროს, 1917 წელს, ის ქმნის ხის გრავიურების რამდენსამე სერიას („ალსდექით, მკვდრებო!“ და „მკვდრები ლაპარაკობენ“) და ასურათებს ვერჰარნის პოემებს.

„სულითა და გულით მდიდარი კოლოსის“ — მაზერელის შემოქმედების ამ პერიოდზე რ. როლანი ასე წერდა: „ყველა მის შთამბეჭდავ სერიას ხილვათა ძალა აქვს. ისინი ნათლად გვისურათებენ იმ განცდებს, რომელნიც მხატვრის სულს აფორიაქებდნენ. მხატვარი დათრგუნა ამ ძალამ. მას სიკვდილის ხატება ჰქონდა მუდამ თვალწინ. ის შეეცადა თავი დაეღწია მისგან და მიუბრუნდა ცხოვრებას, მშვიდობიანობის დროის ცხოვრებას. მაგრამ მან აღმოაჩინა, რომ აქაც იმგვარივე ჩაგვრა, უსამართლობა და მუდმივი ომი ყოფილა. ამის შეგნებას ასახავს მისი ერთერთი გასაოცარი ნაწარმოები: „ადამიანის ტანჯვის 25 სურათი“. აქ გმირის — უბრალო მუშის მორალური სიდიადე სოციალური არსებობის ტანჯვასა და შეურაცხყოფაზე უფრო მაღლაა დაყენებული. ჯალათებს, რომლებიც მას ასამართლებენ და ჰკლავენ, მუშა თავს ახვევს თავის სტოიციზმზე დაფუძნებულ თავდაჭერილობას. ეს იყო პირველი ნაბიჯი მწვერვალებისაკენ, აღდგომის შესახვედრად, მას შემდეგ მისი სული წავიდა განთავისუფლების უფრო ნათელი გაგების გზით“.

და მართლაც, 1919 წლიდან იწყება განსაკუთრებული, გასაოცარი პროდუქციულობა გრაფიკოს მაზერელისა. მან გამოსცა გრავიურების ორი სერია (167 ქსილოგრაფიისაგან შემდგარი ერთგვარი დღიური) და 67 ქსილოგრაფია სახელწოდებით „მზე“, გააკეთა ილუსტრაციები რვა სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, საერთო რიცხვით, ეს ქსილოგრაფიამდე, მათ შორის რომენ როლანის ანტიმილიტარისტული პიესისათვის „Liluli“, რომელიც ოცჯერ გამოიცა. 1920 წელს მათ მოჰყვა „მზის“ ანალოგიური სერიები, როგორიც იყო „ისტორია სიტყვების გარეშე“ (60 ქსილოგრ.), „იდეა, მისი დაბადება, სიცოცხლე, სიკვდილი“ (83 ქსილოგრ.), ამასთან ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოცემული ათეული ლიტერატურული ნაწარმოების ასამდე ილუსტრაცია.

თუ ომის წლებში მაზერელის ყურადღება მიპყრობილი იყო მეომარი ხალხის საშინელი უბედურებისა და წამებისადმი, ომის შემდგომ ის ცხოვრების ზოგადი უმნიშვნელოვანესი საკითხებით დაინტერესდა. ცხოვრების აზრი, მისი მიზნები აინტერესებს მაზერელს როგორც დიდი ევროპელი მწერლების ნაწარმოებებში, ისე საკუთარ პოემებში, ე. ი. თავის ქსილოგრაფიებში. მის „დღიურში“ ასახვას ჰპოვებს მხატვრის დაკვირვება ევროპულ საზოგადოებაზე, მისი ცხოვრების კონტრასტებზე. მაზერელი ცხოვრების ამ სურათებისაგან ისვენებს მხოლოდ მაშინ, როცა ბუნების წიაღს, მის სიმყუდროვეს მიმართავს.

„მზე“ თითქოს ისტორიაა ადამიანის სწრაფვისა ბედნიერებისაკენ, ნათელი, შორეული იდეალებისაკენ: ამ გზაზე არის დამარცხებაც და დაცემაც. მზის სინათლით დამწვარი გმირის ტრაგედიაც. „ისტორია უსიტყვოდ“ ერთი ქალიშვილის სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს. მასში შეყვარებული ვაჟი დაბეჯითებით ცდილობს მოიგოს ჭირვეული გოგონას გული და ყველა მის სურვილს ასრულებს. როცა რწმუნდება, რომ ყველაფერი ამაოა, ვაჟი ზურგს აქცევს მას. მაშინ ქალიშვილი ცდილობს

დაიბრუნოს მისი კეთილი განწყობა და მთლიანად ამჟღავნებს თავის თავს. ვაჟი ხედავს, რომ სრული შეუსაბამობაა ამ ქალზე მის წარმოდგენასა და მას შორის. „იდეა, მისი დაბადება, სიცოცხლე და სიკვდილი“ გვიამბობს, როგორ დაიბადა ადამიანის თავში ახალი ბრწყინვალე, ძვირფასი იდეა, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი მონაკვეთი, განსაზღვროს— კაცობრიობის მორალური ყოფაქცევა. ეს იდეა, როგორც ათენა ზევსის თავიდან, ისე იშვა მაგიდასთან მჯდომი ადამიანის თავში და მას ქალის სახე ჰქონდა. მაგრამ მან თავისი პირდაპირობით, სიშიშვლით შეაშფოთა მეშჩანური საზოგადოება. მას დაედევნებიან, ხელთ იგდებენ, თავის გემოზე მართავენ. იდეა კი — თავისი ჭეშმარიტი აზრის ამგვარი გაყალბებით შეწუხებული — ცდილობს დაღწიოს თავი ამ სამოსელს. ამას მისდევს სხვადასხვა პერიპეტიები — ციხეში ჩასმა, გასამართლება, იმ მოხუცი მიცნიერის სამართალში მიცემა, რომელმაც იდეა წიგნში მოათავსა; შემდეგ მიწის მუშებთან მისვლა და მათ მიერ იდეის მოწოდებათა შეგნება, შემდეგ კი სტამბაში შეპარვა და იქედან — დაბეჭდილი სახით გავრცელება მთელ მსოფლიოში. მეშჩანური კანონი ცდილობს ცეცხლს მისცეს ამ აკრძალული იდეის შემცველი წიგნები და აუტოდაფეს მართავს. მაგრამ იდეა ცეცხლისაგან აღდგა და ტელეგადაცემათა ყოველგვარი საშუალებით ყველგან მოგზაურობს, ყოველგვარ ზღუდეს ლახავს. დასასრულ — ამდენი განსაცდელის შემდეგ — იგი უბრუნდება თავის შემოქმედს და აღმოაჩენს, რომ მას უკვე ახალი იდეა მოსვლია თავში და ისიც კვლავ უნდა გადაისროლოს ქვეყნად. ქაილოგრაფიების ამ სერიაში ისევე, როგორც სხვებშიც, იმდენი განსხვავებული დეტალია, რომ შეუძლებელია აქ ერთი რომელიმე გარკვეული იდეის „ჩასმა“. აქ მინიშნებულია იდეები საფრანგეთის რევოლუციური ქრისტიანობისა, სოციალიზმისა და სხვა იდეები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიის დიდ პერიოდებს ახასიათებდა.

ამ სერიების დამახასიათებელია ადამიანის ცხოვრების (როგორც კერძოსი, ისე საზოგადოებრივის) დიდი ზოგადი საკითხების რთული გადაწყვეტა; ერთი მხრივ — ზოგადი პრობლემების გადაწყვეტისადმი მისწრაფება; მეორე მხრივ — ცხოვრებაში ამ პრობლემათა ხორცშესხმის გზაზე დამარცხებათა და სიძნელეთა ჩვენება.

თუ საგაზეთო ნახატებს მაზერელი მსუბუქი და თართო ფუნჯით ასრულებდა და მხოლოდ ძირითად შუქჩრდილს გადმოსცემდა, სერიულ ილუსტრაციებში ის ეძებს მთელი კომპოზიციის გამაერთიანებელ განწყობილებას. შავისა და თეთრის ფართო ლაქების განლაგებას. ეს კარგად ჩანს ქაილოგრაფიაზე. რომელიც მუშის დახვრეტის სცენას გამოხატავს. ლაკონურ, მკაფიოდ წასაკითხ კომპოზიციას, რომელზეც შავ კედელთან მდგარი სიკვდილმისჯილია გამოხატული, ჰკვეთს ძლიერი შუქი. დიდ სერიებში ეს ხერხი კიდევ უფრო განვითარებულია. ცალკეული კომპოზიციები აგებულია რიტმულად, შავისა და თეთრის მონაცვლეობა კომპოზიციის გადაწყვეტის ორიგინალური მომენტია.

შემდგომ წლებში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, მაზერელი დროდადრო აგრძელებს ქაილოგრაფიულად, ლითოგრაფიულად და ტუშით შესრულებული ნახატების კრებულების გამოცემას, რომლებშიც კვლავ ჩანს მისი დაკვირვებანი და განწყობილებანი, მისი აღ-

ფრანს მაზერელი „ჟან-კრისტოფის“ ილუსტრაცია. 1925-27 წ. წ.

შფოთება და მრისხანე განაჩენი ცალკეული საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თვით სახელწოდებებიც კი დამახასიათებელია: „გროტესკული ფილმი“, „ხეები და გრიმასები“, „ქალაქი“, „დიდი ქალაქის სურათები“, „სირენა“, „დედაქალაქი“ და სხვ. ამავე დროს მხატვარი ქმნის ილუსტრაციებს სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, მათ შორის, ასურათებს ბარბიუსის, ვერჰარნის, მეტერლინკის, ტოლსტოის, როლანის, უალდის, მოპასანის, დე-კოსტერისა და სხვათა ნაწარმოებთ.

1925 წელს, როგორც ჩანს, პირველად მაზერელი მო-

ფრანს მაზერელი

„ჟან-კრისტოფის“

ილუსტრაციები

1925-27 წ. წ.

ფრანს ძახერელა „ულენშპიგელი“ ილუსტრაცია

ნაწილეობს გამოფენებზე ზეთითა და აკვარელით შესრულებული სურათებით, რომლებშიც მძიმე და მუქი ტონები ჭარბობს — მუქი მწვანე, მუქი ლურჯი, ყავისფერი, მუქი ნაცრისფერი. სიუჟეტები უმთავრესად ქალაქის ნერვულ, დაძაბულ, კონტრასტებით სავსე ცხოვრებას ასახავს ან ბულონის ახლოს მუდამ მღელვარე ზღვის სანაპიროს,

ფრანს მაზერელი -ულენშპიგელის“ ილუსტრაციები

სადაც მხატვარი პერიოდულად ზაფხულის თვეებს ატარებდა.

მაზერელისთვის, როგორც მუდმივად მაძიებელი ტალანტისთვის, ტიპურია ის, რომ აკეთებდა თოჯინებს, კერამიკულ ნივთებს, მუშაობდა თეატრალურ მხატვრობაში, მოზაიკურ კომპოზიციებზე, დასასრულ, კინოსცენარზედაც კი.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების პირველ წლებში მაზერელის შემოქმედებაში კვლავ ჩანს დაკვირვება ევროპის ქალაქებზე, სადაც გამეფებულია ჩაგვრა და უსამართლობა, მუდმივი ომი, ისევე, როგორც ომის წლებში. ამას ნათლად მოწმობენ მისი ქსილოგრაფიებისა და ნახატების ცალკეული სურათები.

ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში 1926 წელს მაზერელი ომისშემდგომ წლებზე ასე წერს: „ცხოვრების სკოლა იზიდავდა ჩემს ყურადღებას; ჩემი ღრმა რწმენით, იგი არსად არ გველაპარაკება ისე ცოცხლად, როგორც პარიზში. მაგრამ მე არ მაქვს არც დრო, არც განწყობილება დიდხანს ვილაპარაკო ჩემს თავზე, ან ჩემი ნამუშევრების შესახებ, მათი შექმნის თარიღებზე, ჩემს მიერ განცდილ გავლენებზე, ჩემი ცხოვრების წვრილმანებზე, ჩემს თეორიებზე, — ვის არა აქვს დღეს თეორიები, იმედებსა და იდეებზე. მაგრამ მაინც უნდა დავუმატო, რომ ცოცხალ თუ გარდაცვლილ მხატვართა შორის, როგორც ფერმწერი და როგორც ადამიანი, ყველაზე უფრო მიყვარს ვან გოგი.

ამ სიტყვებში, შეიძლება ითქვას, მთლიანად ჩანს მაზერელის, როგორც ადამიანისა და მხატვრის, არსი.

და მართლაც, მაზერელის გრაფიკულ სერიაში ძლიერად ვლინდება მისი ნათესაობა ვან გოგთან. ამ წლების გრაფიკული სერია, სტეფან ცვაიგის სამართლიანი შეფასებით, „მონუმენტურია, როგორც თანამედროვე დიდი ქალაქის — ყველა ვნებათა ამ პანდემონიუმის მნიშვნელოვანი მონუმენტი, მილიონობით ადამიანთა ბედით, ხალხთა მასების ფართო ნაკადით, გაჭირვებისა და მაძღარი სიმდიდრის, უქონლობისა და გარყვნილების ტრაგიკული კონტრასტებით. აქ არის პოლიტიკური დემონსტრაციაც და დახვრეტაც, სახრჩობელა და საბირჟო აჟიოტაჟიც, ცათამბჯენების არქიტექტურა და ფინანსიური მაგნატები, გაზეთების რეკლამურ-დეტექტიკური და სენსაციური ხასიათი, ვარიეტე და რევიუ, თავაშვებული ღრეობა და ომის ინვალიდები, ქალიშვილის სუფთა პროფილი და უბედურ მეძავთა ნაირნაირი ტიპები, ახალი ღმერთი — მოკრივე და ძველი ღმერთი — პრიმადონა, და ა. შ. და ა. შ.“

ცხოვრების სევდის მომგვრელი სურათების გვერდით, მაზერელისთვის ერთგვარი დასვენება იყო მხატვრულ ლიტერატურის დასურათებაზე მუშაობა. ამ ნამუშევართა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ დიდ ციკლს, როგორიც არის რომენ როლანის „ჟან-კრისტოფის“ ხუთტომიანი გამოცემა და შარლ დე-კოსტერის „ულენშპიგელის“ ორი ტომი.

„ულენშპიგელი“ ეს ეროვნული ეპოპეაა, რომელშიც ასახულია ნიდერლანდების ბრძოლა ესპანელ დამპყრობლებთან და კათოლიკურ ინკვიზიციასთან. იუმორით და მიწიერი ცხოვრების სიხალისით სავსე ამ ნაწარმოებმა

1926 წელს მაზერელის კალმით ადექვატური მრავალფეროვანი განსახიერება ჰპოვა. წიგნში 50 ილუსტრაციაა მთელი გვერდის ზომისა და ასზე მეტი მცირე ზომის ნახატი ტექსტში. დიდ ილუსტრაციებში მაზერელი გამოყოფს უფიძვნელოვანეს მომენტებს, ან ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც ლირიკულად იტაცებდნენ მას და "მთააგონებდნენ დასრულებული დიდი სურათის შექმნას. მცირე ზომის ილუსტრაციებში მხატვარი ზოგჯერ იმავე თემას ასახავს, რასაც დიდ გრავიურებში, მაგრამ ყოველთვის ისეთივე მონდომებით, საიხტერესოდ და ახლებურად წყვეტს ამოცანას. ე. ი. ილუსტრაციების ზომა არაა გადამწყვეტი. ილუსტრაციები ერთგვაროვნადაა შესრულებული ორსავ შემთხვევაში, მაგრამ ავტორი სხვადასხვაგვარობას ქმნის იმით, რომ სასახლის სცენებს სწყვეტს მუქ ტონებში, განსხვავებით ნიდერლანდურ ხაგებობათა ამსახველი ნათელი კომპოზიციებისაგან, თუ აღარაფერს ვიტყვით სოფლისა და ქალაქის მრავალრიცხოვან ხედებზე, პეიზაჟებზე, რომლებიც მზით გასხივოსნებული და ხალისიანია. დამაჯერებლადაა მოცემული აგრეთვე ღამისა და საღამოს სცენები, ფარნით განათებული ქუჩები და ტავერნები, ზამთრის პეიზაჟები...

მეორე ხერხი, რომელსაც ნაირფეროვნება შემოაქვს შესრულებაში და რომელიც გამოყენებულია ფურცლის ზომის ილუსტრაციებშიც და ტექსტში ჩართულ ნახატებშიაც, იმაში მდგომარეობს, რომ დახატულია თითო დიდი ფიგურა — ზოგჯერ მთელი ტანით არც კი, — და მისი სახის გამომეტყველება დაწვრილებითაა დამუშავებული; ასეთია პირველი დიდი გრავიურა — ახლად დაბადებული ტილ ულენშპიგელი, რომელსაც დედა ძუძუს აწოვებს. ამის საწინააღმდეგოდ, მრავალფიგურიან კომპოზიციებში, ფიგურები სხვადასხვა ზომისაა იმისდამიხედვით, თუ რა ზომისაა კადრი, ან რამდენი ფიგურაა და როგორია მათი მოძრაობა. მთელი გვერდის ზომის, დიდ ილუსტრაციათა შორის, ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგალითად, გრავიურა სარკმელთან მსხდომი სოოტკინითა და ნელეთი, რომელნიც ამაოდ ელოდებიან ულენშპიგელს; მაზერელი აქ გვიჩვენებს, რომ სარკმლიდან ისინი ხედავენ ქალაქს, ქუჩის ცხოვრებას. ან — ხუთი პრინცის თათბირი ბუხართან, რომელშიაც ულენშპიგელია დამალული; ან მასტრიხტისკენ მოლაპარაკებისათვის მიმავალ ნიღბოსანთა (ვითომ ქორწილის მონაწილეთა) გავლა ესპანელთა ბანაკზე; ან ავადმყოფ, მწოლიარე ნელეს მონახულება ლამესა და ტილის მიერ; ან — ბოლო ნაწილში — მკა, შრომა და სიხარული თავისუფალ ქვეყანაში. რამდენიმე ამორჩეული ილუსტრაციით მთელი სერიის სიმდიდრის გადმოცემა შეუძლებელია, მით უფრო, რომ წიგნში შეიძლება ითქვას, ბევრია წმინდა პეიზაჟიც. ტყუილად კი არ ამბობდა მაზერელის ამ გრაფიკული ნაწარმოების შესახებ იგივე სტეფან ცვაიგი: „მისი მშვენიერება ყოველგვარ სიტყვებს აღემატება. ყოველი ახალი ფურცლის ნახვა სულ უფრო და უფრო ინტენსიურად განიჭებს ბედნიერებას, რადგან აქ იშვიათი რამ მოხდა, სახელდობრ ის, რომ ილუსტრაცია და ტექსტი ისე შეუსისხლხორცდნენ ერთმანეთს, როგორც ზოგჯერ სიმღერაში ხდება ხოლმე. მადლობით გრძნობ: როგორც იქნა ეღირსე წიგნს, რომელიც მარტო ამ ერთი სეზონისთვის კი არაა, როგორ ეს ახლა შემოვიდა წესად ამერიკულ ყაიდაზე (the book of the season), არაფერ ჩვენი დროის ნაწარმოები, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე უწერია".

ფრანს მაზერელი

ფორმის მხრივ კიდევ უფრო მრავალფეროვნადაა გადაწყვეტილი მაზერელის მიერ ამოცანა ჟან-კრისტოფში.

ფრანს მაზერელი

„ულენშპიგელის" ილუსტრაციები

ფრანს ძახეოული — გრავიურა ციკლიდან „ძაკიდან თეთრისაკენ“ 1939 წ.

ფრანს მაზერელი — გრავიურა ციკლიდან „ცხოვრების ასაკები“, 1948 წ.



ნაწარმოების რთული და თავისებური ფორმის შესაბამისად, იგი, გარდა ძთელი გვერდის ზომის დიდი გრავიურებისა და ტექსტში ჩართული მცირე ვერტიკალური ან ჰორიზონტალური, ილუსტრაციებისა, აკეთებს კიდევ პატარა ნახატებს ტექსტის არძიებზე და დიდ ბოლოსართებს, რომლებიც თითქოს აჯამებს ეპოპეის მთელ ნაწილებს. ეს ნახატები შესრულებულია საგანგებოდ გამომუშავებული განსხვავებული ძანერით: კარიკატურა პაწაწკინტელა, მლიქვნელურად მოხრილი ფიგურები ჰერცოგის ძეუღლის ფიგურასთან, რომელიც სამჯერ-ოთხჯერ სჭარბობა ძათ, — ეს ხერხი სათახადო გადამუშავებით იმეორებს იმ ხერხს, რომელსაც შუასაუკუნეებში იყენებდნენ ქტიტორთა გამოსახატავად. ეს გრავიურაც თითქოსა მხოლოდ ხაზებითაა ამოკვეთილი, იგი სრულიად ღია ფერისაა, ძირითადი ილუსტრაციებისაგან განსხვავებით.

უეჭველია, რომ „ქან-კოიტოფის“ ცალკეულ ნაწილთა გაფორიებისას მაზერელს ტექსტის აწყობასთან ჰქონდა კონტაქტი, იმ მიზნით, რომ წიგნს მთლიანი, დასრულებული ნასიათი ჰქონოდა. ამ ნაწარმოებში, რომელიც რამდენიმე ასეული გრავიურისაგან შედგება, მაზერელი ერთი მხრივ აკეთებს ჩვეული ჩაძოყალიბებული მანერით შესრულებულ. ძკაფიოდ ძეტყველ, გრაფიკული თვალსაზრისით შეკრულ გრავიურებს, რომლებსაც ზიდაგანი, ზოგჯერ კი ფორძალური, რიტმული ურთიერთკავშირიც აქვთ და რომელნიც, საბოლოოდ, გარკვეულ სახეს ქმნიან; მეორე მხრივ, იგი პოულობს წიგნის ძთლიანი გაფორმებისთვის დამატებით აქცენტებსაც. ამიტომ გასაგებია, რომ თვით ამ გრანდიოზული ეპოპეის ავტორმა ასე შეაფასა მაზერელის ილუსტრ-ციები: „მე სრული რწმენითა და სიხარულით ვახდობ მაზერელს ჩემს სულიერ შვილებს. ამიერიდან მათი ბედის გაძო დაძშვიდებული ვარ. მე ვიცი, რა ბედიც არ უდა ხვდეს წილად ლიტერატურულ ნაწარმოებს, ძომავალში მათი სახე მაინც იცოცხლებს შთამომავლობის თვალში“.

მაზერელის ნიჭსა და შემოქმედებას, რომელიც იმ დროისთვის უკვე სავსებით გამოვლინდა, კარგად განსაზღვრავს მისი ძეგობარი სტეფან ცვაიგი. იგი მას აყენებს ჰენდელის, რუბენსის, უიტძენის, ტოლსტოისა და ბალზაკის გვერდით და ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატს უწოდებს მას... „ასეთი სრულყოფილი ადამიანების ხვედრია. დაუცხრომელი, ყოველდღიური შეძოქმედება. მათთვის უცნობია შებოჭილობა და მოდუნება, შემოქმედებითი აზრის უეცარი აღძაფრენა და დაცემა, რაც ახასიათებს იმ მხატვრებს, რომლებიც გუნების ჩიხედვით ქმნიან. მათი შემოქმედი ენერგია ჰგავს უწყვეტ და თანაბარ ნაკადად მომდინარე წყაროს“. ცვაიგი აღნიშნავს მაზერელის მხედველობითი მეხსიერების განსაკუთრებულ სიმახვილეს, რის წყალობითაც მხატვარი მარჯვედ და მსუბუქად ქმნის თავის ყოველ ნაწარმოებს, ცვაიგი ხაზგასმით ამბობს, რომ „მაზერელი სულ ადვილად ივობებს ნებისმიერ მოძრაობას — მტაცებლის ნახტომს, ყალყზე შემდგარ ცხენს, მატარებლის კლაკნილს მოსახვევში, სიხარულსა და მწუხარების გამომეტყველებას ადამიანის სახეზე“. მართლაც, ისეთ გრავიურებში, როგორიცაა ხრახნისებრ კიბეზე ჩამომავალი კატა, ან ვაგონში ერთიმეორის გვერდით მსხდარნი ქალი და მამაკაცი, აღბეჭდილია ისეთი მოძრაობა და განწყობილება, რომელიც მხოლოდ წამიერად გამოკრთება და რომელთა გადმოცემაც მხოლოდ მხატვრის განსაკუთრებულ ნიჭს შეუძლია.

სტეფან ცვაიგის აზრით, „მაზერელის ნახატების ძალა არის არა მისი მანერის თავისებურებაში, არამედ არაჩვეულებრივად ფართო ხედვაში, რაც მხატვრის ტალანტის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. იგი საოცრად შეხამებულია ჩვეულებრივ ყოფით უბრალოებასთან — მშრომელი ადამიანის მომთმენ და ბეჯით შრომასთან“... „მან უკვე ათიათასამდე ნახატი და გრავიურა შექმნა. მიუხედავად ასეთი უმაგალითო პროდუქტიულობისა, არ არის იმის საფრთხე, რომ მისი შემოქმედებითი ენერგია ოდესმე

დაილიოს, ვინაიდან მისი მხედველობითი მეხსიერების მარაგი ამოუწურავია, როგორც თვით სამყარო".

მართლაც, ცვაიგის ამ სტრიქონების დაწერიდან 35 წლის შემდეგ, მართლდება ეს წინასწარმატყველება. მხატვრის შემოქმედებითი ეხერგია წლების მანძილზე არ გაღარიბებულა ისევე, როგორც წყაროს თანაბარზომიერი ნაკადი. მისი კომპოზიცია ისევე მტკიცედ და თავისუფლად იქმნება, ხასიათდება დამთავრებულობით, მიუხედავად იმისა, რომ მაზერელი დღეში სამ ნაწარმოებს ქმნის.

თუ როგორ სხვადასხვაგვარად ასრულებს მხატვარი გრავიურებს ხეზე, ამას მოწმობენ მის მიერ ილუსტრირებულ ნაწარმოებთა ავტორების პორტრეტები. 1921 წელს შესრულებული ანრი ბარბიუსის პორტრეტი მოცემულია პროფილში, ხაზგასმულია ხასიათი მწერლისა, რომელიც ყურადღებით შორს იმზირება. სახე ფარავს მთელ კადრს, მის ირგვლივ ხალხის მოძრაკი, მღელვარე ტალღაა და ცეცხლის მთრთოლავი ენები, ცაში კი გზისგამკვლევი ხუთქიმიანი ვარსკვლავები. ბარბიუსის სახე შესრულებულია ძლიერი, კუთხოვანი ჩრდილებით, ხოლო თეთრი და შავი სიბრტყეების უცნაური შეხამებით სავსებით დამაჯერებლადაა გადმოცემული მწერლის ჯიუტი, აწეწილი თმები.

ტუშით შესრულებული პორტრეტი რომენ როლანისა გვაძლევს მწერლის საერთო იერს. როლანი მაგიდასთან ზის და მუშაობს. ნახატი მსუბუქი შტრიხებით გამოკვეთს ტიპიურ პოზას, რომელიც ჩვენთვის ბევრი ფოტოდანაა ცნობილი. მაგიდაზე დაყრდნობილი დაძაბული ხელები, ფეხი ფეხზე გადადებული, უბრალოდ, სილუეტურად მოცემული ფიგურა ცოცხლად წარმოგვიდგენს მწერალს.

სხვაგვარად ხატავს მაზერელი ლევ ტოლსტოის პორტრეტს, რომელიც მისთვის მხოლოდ ფოტოდანაა ცნობილი. მთლიან შავ ფონზე, ყოველგვარი მოდელირების გარეშე, მოცემულია თავი ანფასში პატარა განმეტვრეტი თვალებით, სქელი წარბებითა და გრძელი წვერით. ნახატის მინიმალური საშუალებებით მაქსიმალური ეფექტითაა გადმოცემული დიდი მწერლის ფსიქოლოგიური იერი.

იმავე ხერხით, რომლითაც შესრულებულია ტოლსტოის პორტრეტი, — მთელი ფიგურის ძუნწი გამოკლინებით ერთიან შავ ფონზე — მაზერელმა 1930 წელსვე დაასურათა, მგონი, ერთადერთი გრავიურით — ფრანსუა ვიიონის „დიდი ანდერძი". სიბნელეში იხატება ფეხზე მდგომი მწუხარე მამაკაცი, რომელიც ძველებურად ბატის ფრთით წერს გრძელ ქარტიაზე. იგი თითქოს კედელს მიყრდნობია და მთლიანად ამ ანდერძის წერითაა გატაცებული. თეთრი სიბრტყეების ცალკეული, მკვეთრად განათებული ნაწილები გარემოს სიშავეს ერთვის. მხოლოდ აქა-იქ, წვრილი წყვეტილი თეთრი ხაზით, დამატებითაა მოცემული ფიგურის კონტური.

* * *

1935—1936 წლებში მაზერელი ეწვია საბჭოთა კავშირს. ჩვენში იგი ბევრს მოგზაურობდა, ვოლგასაც ესტუმრა ასტრახანის მახლობლად, იყო ბათუმში. დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას, დაინტერესდა ბავშვების ხელოვნებით და აღიარებდა, რომ „კარგი იყო შესაძლებლობა ქონოდა აერჩია თორმეტამდე მოწაფე და ემუშავა მათთან. მე ვისურვებდი, რომ თვითეული მათგანი მისი ტექნიკური და იდეური მიდრეკილებების მიხედვით გამომეწრთვნაო". სწორედ ასე მუშაობდა იგი იმ ხანებში პარიზელ მუშებთან. საბჭოთა კავშირში მხატვარმა დაწერა რამდენიმე სურათი ზეთით: ლენინის მავზოლეუმი, ვოლგა, პეიზაჟები, გააკეთა ი. ბეხერის წიგნის „უცნობი ჯარისკაცის დაბრუნების" ილუსტრაციები. მან ღირსეულად შეაფასა სოციალისტური კულტურის ნაციონალური ფორმები და, როგორც ჩანს, ამის შემდეგ შექმნა 66 ნახატი, რომელშიც ასახა გახრწნის გზაზე დამდგარი კაპიტალისტური ქალაქი. ამ ფურცლებში, რო-



ფრანს მაზერელი ლევ ტოლსტოის პორტრეტი. 1930

ფრანს მაზერელი კოტიერა ცალკეულის „სიკვდილი" 1948 წ.

ფრანს ძაზერელი ნახატი „ჟან-კრისტოფისათვის“

მელიც „დედაქალაქის“ სახელწოდებას ატარებს, არის სარკასტული კომპოზიციები ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე.

ამ დროისათვის მაზერელის გზა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაისახა, გზა აღდგომისა, თავისუფლების მკაფიო გაგებისა (რომენ როლანის სიტყვებით რომ ვთქვათ), უკვე სავსებით ჩამოყალიბდა.

მაზერელის სიტყვით, მხატვრის ადგილი ახალი სისტემისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია, სისტემისა, რომელიც გამორიცხავს ომს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. მხატვარმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ამ სამყაროს შესაფერ დიდ ხელოვნებას მიაღწევს მაშინ, როცა დაეყრდნობა ახალგაზრდობის საშუალებათა სილამაზეს, რომ ამ პირობებში მისი შემოქმედება იქნება ბიძგის მიმცემი, რასაც შეეძლება შესძრას ადამიანის გული. სტეფან ცვაიგის სიტყვებით, არ არის რა პოლიტიკოსი, ე. ი. თავისი ბუნებით აქტიური მებრძოლი და პოლიტიკური მოღვაწე, მაზერელი სოციალისტური მორალისა და მსოფლმხედველობის ნამდვილი წარმომადგენელია და ამ პოზიციებიდან გვიჩვენებს მის გარემომცველ ცხოვრებას თავის გრავიურებსა და ნახატებში. ხოლო მისი მოწაფეები ზაარბრიუკენში, სადაც იგი 1947 წლიდან ასწავლის, მასთან ერთად იხილავენ არა მარტო ხელოვნების, არამედ საზოგადოებრივსა და უბრალო საყოფაცხოვრებო პრობლემებს.

მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს, მაზერელი ქმნის 57 ქსილოგრაფიისაგან შემდგარ ციკლს, რომელიც შვეიცარიაში, ციურიხში გამოიცა და ეწოდება „შავიდან თეთრისაკენ“. მას წამძღვარებული აქვს ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიც ფორმულირებულია მისი პოზიცია, როგორც მხატვრისა, რომელიც იბრძვის აბსტრაქტული ხელოვნების ყოველგვარი სახეობისა და აგრეთვე სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვის წინააღმდეგ, მოითხოვს გამოხატვის საშუალებათა სილამაზის გამოყენებას. ათეული წლების მანძილზე მთელი მისი შემოქმედება ნათელი დადასტურებაა ამ სიტყვებისა. ხალისიან ცხოვრებასა და კოლექტიურ შრომაზე ნათელი ოცნება მან გამოატარა მეორე მსოფლიო ომის ბნელი წლების შემდგომ, როცა, სხვათა შორის, დაიღუპა მისი თითქმის ყველა ადრინდელი ნამუშევარი.

ციკლი „შავიდან თეთრისაკენ“ წარმოადგენს ფორმის მხრივ ერთგვაროვნად ჩაფიქრებულ, ნახატის მხრივ დამთავრებულ გრავიურებს, რომლებიც აგებულია გააზრებულად ამოკვეთილ ძუნწ თეთრ ხაზებზე. უკვე პირველი ფურცელი ველური ტყის ბუჩქნარში ჩამდგარი სპილოს თავის გამოხატულებით, იძლევა ამ ტონს. ფურცელი კი, რომელზეც გამოხატულია ქუჩის კუთხეში მდგომი ორი მათხოვარი და შორს სინათლის რეკლამისკენ მისწრაფებული ბრბო, კიდევ უფრო ავლენს ამ თავისებურ ხერხს. მთელი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ დამაჯერებელ ოპტიმისტურ ტონს კარგად ავლენს ახალგაზრდობის შეხმატკბილებული მუშაობის ამსახველი ფურცელი, რომელიც რიტმულადაა შესრულებული, და ციკლის დამამთავრებელი ნახატი — მომავლისაკენ ხალისით მიმავალი ახალგაზრდა წყვილი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მაზერელის შემოქმედება კვლავ მისკენაა მთლიანად მიმართული. მაგრამ ახლა მის ნაწარმოებებში არ არის აღშფოთება, გამკიცხავი ტონი, შეშფოთებული მოწოდება, არ არის აქტიური ბრძოლა ომის წინააღმდეგ. როგორც ეს იყო ახალგაზრდობის წლებში, თუმცა მხატვარი თავისი ხასიათით არც მაშინ იყო აქტიური პოლიტიკური მებრძოლი. ახლა ომისადმი მიძღვნილი ციკლები სრულიად სხვა ხასიათს ატარებენ და მთლიანად უპასუხებენ მისი ფსიქიკის წყობას. უკვე ამ ციკლთა სახელწოდება სხვაგვარი ენით, დაკვირვებისა და დაფიქრების ენით, ლაპარაკობს: „სიკვდილის ცეკვა“ (შესრულებულია 1941 წ., 25 ნახატისაგან შედგება) „ბედი“ 1943 წლისა, ადამიანთა ბედი და მათი წამება 1939-1942 წლებში, 44 ნახატი). აქ ნაჩვენებია ადამიანთა ცხოვრების სურათები, მათი ბედი ზურგში თუ ფრონტზე. ამ სერიის დასკვნითი ნახატი გამოხატავს ქალაქის ნანგრევებს, ერთ-ერთი დანგრეული შენობიდან ამოწვდილია ხელი სოლიდარობის ალმით, ხოლო მეორე შენობიდან მას საპასუხო სალამს აძლევს მეორე ხელი.



ფრანს მაზერელი
„დიდი ქალაქის
სურათები“ 1923 წ.

ასევე სხვა ციკლები — „დედამიწა სატურნის ნიშნით" (20 ნახატი), ან „დაიხსომე" (20 ნახატი) შესრულებულია 1944-1945 წლებში. დამახასიათებელია, რომ ყველა ეს სერია-ნახატი მხატვრის მძიმე ფიქრებია და არა გრავიურებში განხორციელებული მხატვრული შთაგონება.

როგორც კი დამთავრდა ომი და დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება, მაზერელს, რომელიც ომის დროს სამხრეთ საფრანგეთში ცხოვრობდა ბორდოს მახლობლად, ახალი თემები და ახალი იმედები შთაგონებენ. 1948 წელს პოემას პოემაზე ქმნის: „ცხოვრების ასაკები", „სიჭაბუკე" შედგება გრავიურებისაგან ისევე, როგორც მის მიერ ილუსტრირებული მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები. ორივე ეს სერია გამსჭვალულია კაცობრიობისადმი და მისი ნათელი მომავლისადმი რწმენით. ჩვენს წინ იშლება ცოდნას დაწაფებულთა სურათები, მეცადინეობა სკოლაში, კითხვა, კოლექტიური შრომა, ახალგაზრდა ოჯახის ხალისიანი ცხოვრება, ბავშვების აღზრდა და რიტმული შრომა. „სიჭაბუკე" ტომას მანის შესავლით გამოიცა. მანი ასეთი სიტყვებით აკეთებს დასკვნას: „ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ იმედი იქონიოთ". ამ გრავიურებს მაზერელი ასრულებს მკაფიო და ფართო შავი ხაზებით გამოკვეთილი ნახატებით, ხერხით, რომელიც მან შეიმუშავა ციკლში „თეთრიდან შავისაკენ", მაგრამ უკვე საწინააღმ-

ფრანს მაზერელი „დიდი ქალაქის სურათები" 1923 წ.

ფრანს მაზერელი რომენ როლანი. 1921 წ.

დეგო აზრით. მოყვანილი ილუსტრაცია გვიხატავს ახალგაზრდობის სასიხარულო მომავალს, აღსავსეს რთული და პროდუქციული შრომით.

მაგრამ გავიდა მხოლოდ რამდენიმე წელი და მხატვრის ფიზიზელმა გონებამ და განმჭვრეტმა თვალმა დაინახა, რომ კაცობრიობას ახალი უბედურება ემუქრება. 1953 და 1954 წელს გამოვიდა ტუშით შესრულებული მისი ნახატების ორი სერია, რომელსაც არ გავცნობივართ, მაგრამ რომელთა შესახებ მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ თვით ციკლების სახელწოდებები. „ჩვენი დროის აპოკალიპსისი" და „აპოკალიპსური მხედრები". ეს სახელწოდებები აშკარად ჩაგონებულია მისთვის კარგად ცნობილი ხის გრავიურებით „აპოკალიპსისით", რომელთა ავტორია წინააღმდეგობით სავსე ეპოქაში მცხოვრები მაძიებელი მხატვარი ალბრეხტ დიურერი.

ეს ნარკვევი მაზერელზე და მის გრაფიკაზე მინდა დავამთავრო ზემოთ არაერთხელ ციტირებული ცვაიგის სიტყვებით: „მაზერელი ჩემთვის არის შეუდარებელი ძალის განსახიერება, თვით სამყაროს ძალისა მისი დაუსრულებელი ცხოვრებით და მომწიფებული, შემართული ვაჟკაცობით. მის გრავიურებში იგრძნობა კოსმოსის სუნთქვა... ის კეთილისმსურველია, როგორც ყველაფერი ბუნებრივი, ამაღლებული, როგორც ნამდვილი მხატვარი, როგორც ადამიანი, რომელიც მოწოდებულია გაამხნევოს, შთააგონოს და გაახაროს სხვა ადამიანები".